

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)**The exchange of Good Practices**

17 October, 2015, Materials

**სამოქალაქო და სოციალური კომპეტენციის განვითარების  
ხელშეწყობა დაწყებით საფეხურზე**

ლელა გოგინაშვილი

გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის დაწყებითი კლასების მასწავლებელი

**რეზიუმე**

ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებიდან გამომდინარე, სკოლამ სწავლის ერთ-ერთ პრიორიტეტად განსაზღვრა მოსწავლის, როგორც სოციალურად სრულფასოვანი მოქალაქის ფორმირებისთვის მნიშვნელოვანი უნარების განვითარება. სამოქალაქო და სოციალური კომპეტენცია ერთ-ერთია იმ ცხრა გამჭოლი პრიორიტეტული კომპეტენციიდან, რომელიც ეროვნულ სასწავლო გეგმაშია მოცემული. ამ კომპეტენციის განვითარება ხელს უწყობს მოსწავლეებს სამოქალაქო ცხოვრებაში ინტეგრირებისათვის აუცილებელი უნარებისა და ღირებულებების ფორმირებას. წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს დაწყებით საფეხურზე განხორციელებული პროექტის აღწერას. ერთი პროექტის მაგალითზე განვიხილავ, თუ როგორ უწყობს ხელს მოსწავლეებში აღნიშნული მეთოდის გამოყენება სამოქალაქო და სოციალური კომპეტენციის დაუფლებას; როგორ ხდება „მაღალი დონის აზროვნების“ წახალისება, როგორია პასუხისმგებლობა და იმ კომპლექსური უნარ-ჩვევათა განვითარების შესაძლებლობა როგორებიცაა: კონსტრუქციული თანამშრომლობა, შემოქმედებლობა და სხვისი უფლებების პატივისცემა; დემოკრატიული პრინციპების აღიარება, პრობლემის მოგვარება, შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების განვითარება. ნაშრომში ნაჩვენებია ის, თუ როგორ უწყობს ხელს სამოქალაქო და სოციალური კომპეტენციების ფლობას კომბინირებული მეთოდებით სწავლება და ტექნოლოგიების მიზანმიმართული და ეფექტური გამოყენება, როგორია მოსწავლეთა მოტივაცია და ჩართულობა ამ პროცესში.

**საკვანძო სიტყვები:** მეთოდი, ტექნოლოგია, სამოქალაქო და სოციალური კომპეტენცია

ეროვნულ სასწავლო გეგმაში გამოყოფილ ცხრა პრიორიტეტულ გამჭოლ კომპეტენციას შორის ერთ-ერთი სოციალური და სამოქალაქო კომპეტენციაა, რაც გულისხმობს „ცოდნის, უნარისა და დამოკიდებულებების ერთობლიობას, რომელიც შესაძლებელს ხდის საკუთარი თავის ადეკვატურ შეფასებას, რეალიზებასა და ემოციების მართვას.“[1] კომპეტენციის ფლობა გულისხმობს: კომუნიკაციას, შემოქმედებითობას, ტოლერანტობას,

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

**The exchange of Good Practices**

17 October, 2015, Materials

საზოგადოებაში არსებული ფასეულობების, ნორმებისა და წესების ცოდნასა და მათ დაცვას; პიროვნული პოტენციალის განვითარებასა და პასუხისმგებლობის გრძნობის გაღვივებას. აღნიშნული კომპეტენციის ფლობა ეხმარება მოსწავლეს საზოგადოებაში ინტეგრირებისათვის აუცილებლად საჭირო ისეთი ღირებულებების და უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაში როგორცაა: თანამშრომლობა, სხვისი უფლებების პატივისცემა, ტოლერანტობა, პრობლემის მოგვარების გზების ძიება, გადაწყვეტილებების მიღება, დემოკრატიული პრინციპების გათავისება, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების განვითარება და სხვა.

თანამედროვე მიდგომების გათვალისწინებით, მოსწავლე არის სასწავლო პროცესის მონაწილე თავისი ინტერესებით, გატაცებებით, მიდრეკილებებით, უნარებითა და შესაძლებლობებით. პიროვნებად ჩამოყალიბება ურთულესი პროცესია ადამიანის ცხოვრებაში. ჩვენ, მასწავლებლებმა, ხელი უნდა შევუწყოთ ამ პროცესის ეფექტურად წარმართვას. „ არსებობს კომპეტენციები, რომელთა ფლობა გადამწყვეტია თანამედროვე სამყაროში, რათა ადამიანმა შეძლოს თვითრეალიზება და თავის დამკვიდრება.”[2] კომპეტენციების დასაუფლებლად აუცილებელია სასწავლო პროცესში საგანთაშორისი კავშირების დამყარება. მასწავლებელმა მიზანმიმართულად უნდა შეარჩიოს სწავლების ის მეთოდები და სტრატეგიები, რომლებიც მნიშვნელოვან როლს შეასრულებს მოსწავლეების უნარ-ჩვევათა განვითარებაში.

ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებიდან გამომდინარე, სკოლამ სწავლის ერთ-ერთ პრიორიტეტად განსაზღვრა მოსწავლის, როგორც სოციალურად სრულფასოვანი მოქალაქის ფორმირებისთვის მნიშვნელოვანი უნარების განვითარება. ამ უნარების განვითარებაზე ზრუნვა დაწყებითი კლასებიდან უნდა დავიწყოთ. კომპლექსური უნარების განვითარებას ხელს უწყობს საკლასო პრაქტიკაში პროექტების გამოყენება. პროექტზე დაფუძნებულ სწავლებას აქვს მთელი რიგი უპირატესობები:

- აქტიური კვლევისა და მაღალი დონის აზროვნების წახალისება;
- ჩართულობის, პასუხისმგებლობის, საკუთარი თავის რწმენისა და სწავლისადმი დადებითი დამოკიდებულების გაზრდა;
- აკადემიური სარგებელი;
- იმ კომპლექსური უნარ-ჩვევების განვითარების შესაძლებლობა, როგორცაა: პრობლემის გადაჭრა, თანამშრომლობა, კომუნიკაცია, შეფასება და თვითშეფასება.

პროექტული სწავლების მეთოდის გამოყენება სასწავლო პროცესში საშუალებას გვაძლევს აქტიურად და მიზანმიმართულად გამოვიყენოთ ტექნოლოგიები იმისათვის, რომ მოსწავლეებმა იაზროვნონ კრიტიკულად, ჰქონდეთ დამოუკიდებლად მუშაობის საშუალება და იყვნენ შემოქმედებითები. სოციალური კომუნიკაცია მნიშვნელოვან როლს ასრულებს ბავშვის განვითარებაში. მისი აზროვნება ვითარდება სხვა ადამიანებთან კომუნიკაციის შედეგად. ბავშვები სწავლობენ მოქმედებაში, ანუ მაშინ, როცა სხვა

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

**The exchange of Good Practices**

17 October, 2015, Materials

ადამიანებთან ერთად აქტიურად არიან ჩართული მნიშვნელოვან საქმიანობაში. ასეთ დროს ისინი აქტიურად შედიან დიალოგში, აყალიბებენ და სვამენ კითხვებს, ეძებენ პასუხებს, ხდება იდეების გაცვლა და შესაბამისად ბავშვის განვითარებაც წინ მიდის. მოგეხსენებათ, რომ სწავლების პროცესი როგორც ინდივიდუალურ, ასევე ჯგუფურ მუშაობას გულისხმობს. თანამშრომლობითი სწავლების დროს ჯგუფი გაერთიანებულია ერთი მიზნის მისაღწევად. ასეთი მეთოდით სწავლა ხელს უწყობს მოსწავლის პიროვნულ და სოციალურ განვითარებას, ეხმარება მას სამოქალაქო და სოციალური უნარ-ჩვევების განვითარებაში.

**გთავაზობთ პროექტს - „სიკეთე უსასრულოა“**

**პრობლემა**--მოსწავლეებს ტელევიზიიდან ხშირად ესმით სიტყვა ლეიკემია, მუდმივად ისმის მოწოდება, „დავეხმაროთ ლეიკემიით დაავადებულ ბავშვებს.“ მოსწავლეებმა არ იციან, რა დაავადებაა ის. აინტერესებთ: გადამდებია თუ არა იგი; დაავადებულ ადამიანებს რატომ სცვივით თმა; შესაძლებელია თუ არა საქართველოში ლეიკემიის სრლყოფილი მკურნალობა. მოსწავლეებმა გადაწყვიტეს გამოიჩინონ კეთილი ნება და დახმარების ხელი გაუწოდონ დაავადებულ ბავშვებს.

**საგანი:** მშობლიური ენა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება

**დაწყებითი საფეხური,** მესამე კლასი

**ხანგრძლივობა** - 6 კვირა

**თემის შინაარსი:** ადამიანი სოციალური არსებაა, მას თვითგადარჩენისა და განვითარებისთვის აუცილებლად სჭირდება საზოგადოებასთან ურთიერთობა, ვინაიდან ერთმანეთის დახმარებით და მხარში დგომით ადამიანებს სიკეთის მოტანა შეუძლიათ ერთმანეთისთვის. მოსწავლეებმა გააცნობიერეს, რომ სიკეთის ქმნა არის ის უმთავრესი ღირებულება, რომელიც აუცილებლად უნდა გააჩნდეს ყველა ადამიანს. მათ გადაწყვიტეს: ჩაატარონ საქველმოქმედო ღონისძიება, შეაგროვონ შემოწირულობა და გადაურიცხონ ბერი ანდრიას სახელობის საქველმოქმედო ფონდს.

**აქტუალურობა** : „გადადგი ნაბიჯი სიკეთის თესლის გასაღვივებლად“ - მოსწავლეები ისწავლიან კეთილი საქმის კეთებას, გაიაზრებენ საკუთარ პასუხისმგებლობას სხვა ადამიანების მიმართ, გაუჩნდებათ სურვილი იმისა, რომ უნაგაროდ დაეხმარონ სხვებს. შეძლებენ ტექნოლოგიების ეფექტურად გამოყენებას, ინფორმაციის მოპოვებას, დამუშავებასა და ანალიზს; კომუნიკაციას ერთმანეთთან, ინდივიდებთან და ჯგუფებთან.

**მიზნები და ამოცანები:** სოციალური და სამოქალაქო კომპეტენციის ფლობა, რაც გულისხმობს სამოქალაქო ცხოვრებაში ინტეგრირებისათვის აუცილებელ ისეთ უნარების და ღირებულებების ფორმირებას როგორცაა: პრობლემის მოგვარება, გადაწყვეტილებების მიღება, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება,

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

**The exchange of Good Practices**

17 October, 2015, Materials

კონსტრუქციული თანამშრომლობა, შემწყნარებლობა, სხვისი უფლებების პატივისცემა, დემოკრატიული პრინციპების აღიარება. მოსწავლეები მოიძიებენ სიტყვა სიკეთის განმარტებას, იმსჯელებენ მის მნიშვნელობაზე, მოიყვანენ მაგალითებს, მასწავლებლის დახმარებით დასახავენ გეგმას, თუ ვის, როგორ დაეხმარებიან; მოიძიებენ ინფორმაციას ლეიკემიასთან დაკავშირებით, ჩაატარებენ კვლევას, გაიღრმავებენ ცოდნას. ისწავლიან ერთმანეთის დახმარებას და მხარში დგომას, შექმნიან საინფორმაციო ბროშურებს, სიღრმისეულად გაანალიზებენ სპექტაკლის სცენარს, მასწავლებლის დახმარებით გაინაწილებენ როლებს, დახატავენ პიესის სიუჟეტურ სურათებს, გაივლიან რეპეტიციებს, დაამზადებენ მოსაწვევ ბარათებსა და აფიშას. ჩაიწერენ ვიდეოინტერვიუს, დაპატიჟებენ სტუმრებს და შეაგროვებენ შემოწირულობას. წარმოადგენენ სპექტაკლს. მასწავლებელთან ერთად გააკეთებენ პროექტის ბლოგს და პოსტერს.

**შინაარსობრივი სტანდარტები და ინდიკატორები:**

ქართ. III. 6. მოსწავლეს შეუძლია მცირე ზომის სხვადასხვა სახისა და ჟანრის თხრობითი ტექსტების დამოუკიდებლად წაკითხვა და გაგება-გააზრება.

ქართ. III. 11.

მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა სახის მარტივი მიზნობრივი ტექსტების დაწერა და შესაბამისა დგაფორმება.

ს.გ.III.5. მოსწავლეს შეუძლია დაგეგმოს და შეასრულოს მარტივი სამუშაო.

ს.გ.III.6. მოსწავლეს შეუძლია მუშაობა ინდივიდუალურად და სხვებთან ერთად.

ს.გ III.7. მოსწავლეს შეუძლია წარადგინოს ინდივიდუალური და ჯგუფური ნამუშევრები და გაუზიაროს თანაკლასელებს აზრი და იდეები.

ს.გ.III.10. მოსწავლე მონაწილეობს სხვადასხვა სახის ღონისძიებაში.

**პროექტის აღწერა** პროექტი გონებრივი იერიშის მეთოდით დავიწყეთ. დავსვი შეკითხვა: რას გულისხმობს სიტყვა „ქველმოქმედება“? ვთხოვე გაეხსენებინათ საკუთარი ქველმოქმედების მაგალითები: როდის და რა ფორმით დაეხმარნენ სხვებს? გაიმართა მსჯელობა, მოსწავლეებმა მიიღეს გადაწყვეტილება, რომ დაეხმარნენ ლეიკემიით დაავადებულ ბავშვებს, ჩაატარონ საქველმოქმედო ღონისძიება და შემოწირული თანხა გადარიცხონ ბერი ანდრიას სახელობის ფონდში. ჩავატარე მშობელთა და მოსწავლეთა გაერთიანებული კრება. მშობლებს მივაწოდეთ ინფორმაცია პროექტის და სასწავლო მიზნების შესახებ. გავაცანი შესასრულებელი სამუშაოები და ვთხოვეთ დახმარება. დავბეჭდე სამოქმედო გეგმა, რომელზეც მითითებული იყო შესრულების დრო, აღნიშნული გეგმა გავაკარი საკლასო ოთახში (პროცესის მონიტორინგისთვის).

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

**The exchange of Good Practices**

17 October, 2015, Materials

სპექტაკლისთვის რამდენიმე ზღაპრიდან ერთობლივად შევარჩიეთ ზღაპრი „თოვლის დედოფალი“, რომელშიც მეგობრობა, სიკეთე, თანადგომა, მიზანდასახულობა და შეუპოვრობა ამარცხებს ბოროტებას. განვიხილეთ სცენარი. საკლასო ოთახში მრავალფეროვანი აქტივობების გამოყენებით მოხდა მისი სიღრმისეული ანალიზი: გავანაწილეთ როლები, გამოვიყენე როლური კითხვის მეთოდი, შევექმენით 2 ჯგუფი, ნაწარმოების უკეთ გასაზრებლად ჯგუფებმა იმუშავეს პიესის კომიქსების გაკეთებაზე. ბუკებში გააკეთეს ვორდის სავარჯიშო „გმირის რუკა“, გაიარეს რეპეტიციები. მშობლების დახმარებით შეიქმნა სპექტაკლის რეკვიზიტები, მათ მოიძიეს ყველა საჭირო რესურსი. ჯგუფებმა დაამზადეს ციფრული ფორმატის მოსაწვევი ბარათები. საუკეთესოს შერჩევა მოხდა ფარული კენჭისყრის მეშვეობით. მოსწავლეებმა შერჩეული ნიმუში ამობეჭდეს და დაურიგეს სკოლის დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებს და მასწავლებლებს. ერთმა ჯგუფმა იმუშავა აფიშის გაფორმებაზე, მეორე ჯგუფმა კი ფორმატის დიდ ფურცელზე გააფორმა მოწოდება: „იმისთვის ვართ ამქვეყნად, რომ რაც შეიძლება მეტი კეთილი საქმე აღვასრულოთ“. მოწოდება და აფიშა გააკრეს სკოლის მთავარ შემოსასვლელში.

მოსწავლეებმა განმარტეს სიტყვები: სიკეთე, სათნოება და ურთიერთდახმარება. ამ თემებზე სასაუბროდ ეკლესიაში ვეწვიეთ მამა დავითს, ვუამბეთ ჩვენი განზრახვის შესახებ. მამომ დაგვლოცა და მოგვცა შესაწირის ყუთი, რომელშიც თავად პირველმა ჩააგდო თანხა. ყუთი განვათავსეთ საკლასო ოთახში. მოსწავლეებმა ყველას მოუწოდეს, რომ მონაწილეობა მიეღოთ ლეიკემიით დაავადებულ ბავშვთა დასახმარებლად გამართულ საქველმოქმედო აქციაში. მათ დაწერეს ესე: „მე რომ ნატვრისთვალი მქონდეს“. მოიძიეს ინფორმაცია დაავადებასთან დაკავშირებით. საინტერესო კითხვებზე პასუხების მისაღებად ესტუმრნენ ოჯახის ექიმს. მისგან ყველა კითხვაზე მიიღეს ამომწურავი პასუხი. გაარკვიეს, რომ ლეიკემია განაჩენი არ არის, ის იკურნება! მოსწავლეებმა ჩამოწერეს კითხვები და გააკეთეს გამოკითხვის „ჩეკლისტი“ თითო ჯგუფმა გამოიკითხა 15-15 მოსწავლე, ჯგუფებმა ერთმანეთს გააცნეს კვლევის შედეგები, გააკეთეს გამოკითხვის პიქტოგრამა და გამოიტანეს დასკვნები. პროგრამა ვორდში ვაჩვენე რამდენიმე ფლაერის ნიმუში, მათ შეარჩიეს სასურველი ფორმა და ჩემი დახმარებით შექმნეს საინფორმაციო ფლაერები, რომლებიც დაურიგეს დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებსა და მასწავლებლებს. წარმოადგინეს სპექტაკლი „თოვლის დედოფალი“. მოიწვიეს სტუმრები. ღონისძიებაზე შეაგროვეს შემოწირულობა, რომელიც გადავრიცხვით ბერი ანდრიას სახელობის საქველმოქმედო ფონდში. პროექტის მსვლელობისას გადაღებული სურათების გამოყენებით ერთად გავაკეთეთ პოსტერი, რომელიც დავბეჭდეთ და განვათავსეთ საკლასო ოთახში.

**სწავლის შედეგები:** მოსწავლეები ისწავლიან: სიკეთის კეთებას, პრობლემის მოგვარებას, გადაწყვეტილებების მიღებას, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნებას,

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

**The exchange of Good Practices**

17 October, 2015, Materials

კონსტრუქციულ თანამშრომლობას, შემწყნარებლობას, სხვისი უფლებების პატივისცემას, დემოკრატიული პრინციპების აღიარებას. საკუთარი თავის ადეკვატურად შეფასებას, რეალიზებას. შეძლებენ: ემოციების მართვას, აგრეთვე საზოგადოებაში არსებული ფასეულობების, ნორმების და წესების გათავისებებას და დაცვას. განუვითარდებათ პიროვნული პოტენციალი და პასუხისმგებლობის გრძნობა. ისწავლიან კონკრეტული მიზნის მიხედვით ბროშურის, აფიშის და მოსაწვევი ბარათის ტექსტების შექმნასა და გაფორმებას ახლად შესწავლილი სიტყვების გამოყენებით. ამოიცნობენ პერსონაჟების მოქმედებებს, გრძნობებს, ემოციებს. შეძლებენ: ჯგუფის წევრებთან ერთად დადგან ნაწარმოებში ასახული სცენები, პერსონაჟის დახასიათებას და მათი საქციელის შეფასებას, საყვარელი პერსონაჟის დასახელებას, საკუთარი არჩევანის ახსნას. წაკითხული ნაწარმოებიდან მიღებული შთაბეჭდილებით ილუსტრაციების შექმნას და შეფასებას. შეძლებენ ნამუშევრების აუდიტორიის წინაშე წარმოდგენას და საკლასო სპექტაკლებში მონაწილეობის მიღებას.

**შეფასების დროის გეგმა** - გონებრივი იერიშის სქემები, არასტრუქტურირებული გამოკითხვა, პროექტის გეგმა, შეფასების და თვითშეფასების რეფლექსია, შუალედური ზეპირი ტესტები, პროექტის რუბრიკა, ღონისძიება, გონებრივი იერიშის შეჯამება.

მოსწავლეები აჯგუფებენ კითხვასთან დაკავშირებულ განმარტებებსა და იღებენ რის შედეგადაც აკავშირებენ ცოდნას ახალ შესაძლებლობასთან. აფასებენ საკუთარ და ერთმანეთის ნამუშევრებს, სწავლობენ შეფასებას და თვითშეფასებას, რაც შესაძლებლობას აძლევს მოსწავლეებს შეაფასონ პროგრესი, აზროვნება და სწავლა. წერენ ყოველკვირეულ ანგარიშებს, რეფლექსიას. პროექტის ბოლო ფაზა ღონისძიებაა. სპეციალური რუბრიკით ფასდება მოსწავლეთა საპრეზენტაციო უნარები და დამზადებული ფლაერები.

**დასკვნა:** ამრიგად, პროექტის მეთოდით სწავლებისას ხდება აქტიური და მიზანმიმართული სწავლება, მაღალია მოტივაცია და სამოქალაქო ცნობიერება. სწავლების პროცესი, რომელიც გათვლილია მოსწავლეების თანამშრომლის მაღალ ხარისხზე მუდმივად დადებით შედეგებს იძლევა. ამგვარი სწავლება მხოლოდ მასალის უკეთ ათვისებას კი არ უწყობს ხელს, არამედ ისეთი უნარების განვითარებასაც როგორებიცაა: კომუნიკაცია, ურთიერთდახმარება, პასუხისმგებლობა და თვითდისციპლინა. ხდება ცხოვრებაში ინტეგრირებისათვის აუცილებელი უნარების და ღირებულებების ფორმირება, რაც ეხმარება მოსწავლეებს, რომ გააცნობიერონ საკუთარი უფლება- მოვალეობანი, ორიენტირებულები იყვნენ წარმატებასა და უწყვეტ განვითარებაზე.

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

**The exchange of Good Practices**

17 October, 2015, Materials

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ეროვნულსასწავლო გეგმა (2011-2016) <http://ncp.ge/ge/personaluri-da-sotsialuri-kompetentsia/shesavali>
2. მანანა ბოჭორიშვილი - ტრანსფერული ცოდნის შეძენის პროცედურები და შესაბამისი მელოდური ინსტრუმენტები <http://mastsavlebeli.ge/?action=news&npid=730>
3. სოციალურ კულტურული განვითარების თეორია - ლევ ვიგოდსკი
4. მაია ფორჩხიძე- კოლაბორაციული სწავლების თეორიული და პრაქტიკული საკითხები „მასწავლებლის წიგნი“
5. ინტელის სასწავლო კურსი, „პროექტებით სწავლება“-<http://tpdc.ge/essentials/>
6. როგორ შევადგინო საგანმანათლებლო პროექტი-გზამკვლევი მასწავლებლებს ავტორი: მანანა ბოჭორიშვილი [http://mastsavlebeli.ge/?action=page&p\\_id=19&id=432](http://mastsavlebeli.ge/?action=page&p_id=19&id=432)